№ 209 ოქტომბერი 3, ხუთშაბათი — 1891 — ოქტომბერი 3, ხუთშაბათი № 209


გაზეთი ღირს

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ ამ გამგეობის კანცელარიაში ხელის მოწერაა გამართული და იღებენ შეწირულებას განსაახლებლად მეველის ტამრისა გორის მაზრის სოფელს მეტეხში. შეწირულებას იღებენ ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 10 საათიდგან ნაშუდღევის 2 საათამდე. (5—3)

## ახალი ამბავი

*** ამ წლის დამდეგს საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭომ გადასწყვიტა, რომ საეკკლესიო-სამრევლო სკოლებს მივაწოდოთ ყველა საჭირო ქართული საეკკლესიო წიგნებიო. ამასთანავე საბჭომ დაადგინა, ვსთხოვოთ უუწმინდესს სინოდს, დახმარება აღმოგვიჩინოს ამ საქმეშიო. დღემდე არა ისმის-რა, რა შედეგი მოჰყვა ამ გარდაწყვეტილებას და ან გაიგზავნა თუ არა ამ საქმის შესახებ შესაბამი ქაღალდი უუწმ. სინოდში. საკვირველია, რომ ამ საგნის თაობაზე „Дух. Вѣст."-შიაც სრულიად არაფერი არა ყოფილა-რა მოხსენებული.

*** 1885 წელს იქმნა პირველად დამტკიცებული სასულიერო მთავრობის მიერ პროგრამა საეკკლესიო სამრევლო სკოლებისათვის. ამ პროგრამის ძალით სწავლება საგნებისა სკოლაში უნდა ყოფილიყო დედაენაზე. საეკკლესიო-სლავიანური ენა ამ პროგრამით სავალდებულო არ უნდა ყოფილიყო. მას უკან კარგა ხანი გავიდა. გაჩნდა ახალი პროგრამა, რომლის ძალითაც საეკკლესიო-სლავიანური ენა უნდა ისწავლებოდეს სამრევლო სკოლებში. ამის გამო მრავალი სლავიანური წიგნები იგზავნება რუსეთიდამ ყოველგან, სადაც-კი ასეთი სკოლები არსებობს, და სხვათა შორის, ჩვენშიაც მრავლად მოდის ასეთი წიგნები.

*** მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საეკკლესიო გალობის ნოტებზე დასაწყობად მისს ყოვლად უსამღვდელოესობას ეპისკოპოს ალექსანდრეს პირობა აქვს შეკრული ტფილისის სამუსიკო სკოლის დირექტორთან, ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვთან. ბ-ნმა იპოლიტოვ-ივანოვმა ამ პირობის ძალით უნდა მიიღოს ალექსანდრე ეპისკოპოსისაგან სულ 2000 მან. ამ დღეებში აქედამ მან უკვე მიიღო 500 მან. სამაგიეროდ ბ-ნს იპოლიტოვ-ივანოვს დაუწყვია კიდეც ნოტებად წირვის წესი იოანე ოქროპირისა, ვასილ დიდისა და გრიგოლ ორ-მეტყველისა. დარჩენია დასაწყობად მხოლოდ სძლის-პირები. ახლა, როგორც შევიტყეთ, ბ-ნი იპოლიტოვ-ივანოვი მოსკოვს აპირებს წასვლას და იქ უნდა ნოტების მბეჭდველ ბ-ნს იურგენსონს მოელაპარაკოს, რომ მან იკისროს დაბეჭდვა უკვე დამზადებულის ნოტებისა. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე დაჰპირებია ბ-ნს იპოლიტოვ-ივანოვს, რომ, რაც დაბეჭდვის ფასი შესდგება, ნაწილ-ნაწილ გადავუხდი იურგენსონსაო.

*** ამას წინად ბ-ნმა ტაუგლიხმა ქალაქის გამგეობაში წინადადება შეიტანა, რომ კარგი იქნებოდა განსაკუთრებულის თუნუქის ნომრები დაგვესხა ტფილისის საუკეთესო ქუჩებზედ სახლებისათვის და იმ ნომრებთანავე აღნიშნული ყოფილიყო აგრეთვე სახლის პატრონის გვარიცაო. ეს წინადადება ბ-ნ ტაუგლიხისა გამგეობამ განიხილა ამ დღეებში და, რადგან ადრესის სტოლი არ არის დაარსებული ტფილისში, ძლიერ საჭიროდ იცნო ესეთის ნომრების შემოღება სახლებისათვის, ხოლო, ვინაიდგან ამ საქმეს ხარჯი დასჭირდება მამულის პატრონების მხრივ და გამგეობას-კი საქალაქო დებულებით ამ ხარჯის მოკრების უფლება არა აქვს მინიჭებული, ამიტომ დაადგინა: შევიტყოთ სატახტო ქალაქების თვითმმართველობათაგან, იმათშიაც სავალდებულოა, თუ არა სახლების დანუმრვა და თუ სავალდებულოა, როგორ შეიძლეს და რა გვარად დაანუმერინეს სახლები სახლის პატრონებსაო.

*** პანასკევიჩის ქუჩა თუ არ გინახავთ, ნახეთ ვინმე, მერე ამ ავდარიანს დღეში, და დასტკბით. ისეთი ტლაპო დგას, რომ ნავიც ვერ გადაგიყვანთ ქუჩის ერთის ნაპირიდგან მეორე ნაპირამდე, მეტადრე პანასკევიჩის ქუჩის თავში. ამ ქუჩაზედ მყოფ მამულების პატრონები სჩივიან, რომ, თუმცა დიდი ხანია ქალაქის გამგეობამ გადაგვახდევინა ამ ქუჩაზედ ქვაფენილის დასაგები ხარჯი, მაგრამ დღევადღლამდე ქვაფენილი-კი მაინც არ დაუგიათო. რამდენჯერმე ვიჩივლეთ კიდეც, მაგრამ ჩვენი ჩივილი ხმად მღაღადებელისად დარჩა უდაბნოსა შინაო.

*** ქუთაისი: დღეს, 29-ს ამ თთვისას, აქაურს წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულის პოეტის თავ. მამია გურიელის სულის მოსახსენებლად. განსვენებულის პოეტის საფლავი გვირგვინებით იყო შემკული. ხალხი საკმაოდ ბევრი დაესწრო; შიგა-და-შიგ სოფლებიდგან ჩამოსულებიც მოჩანდნენ, განსაკუთრებით გურიიდგან.

განსვენებულის მამიას გვამი დრომდე ეკკლესიის ეზოში ასაფლავია. პოეტის ნათესავთ და პატივისმცემელთ თავიდგანვე განზრახული ჰქონდათ მისი გვამი ეკკლესიის სამრეკლოში დაესაფლავებინათ, მაგრამ მაშინ ამის ასრულება ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგანაც სამრეკლოს საძირკველი ჯერ კიდევ ჩაყრილი არ იყო. ახლა-კი გვამის გადატანა სამრეკლოს ქვეშ შესაძლოა. მისმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ ეპისკოპოსმა გაბრიელმა ნებაც დართო. ხოლო საჭიროა ადმინისტრაციის ნებართვაც. დღეს თუ ხვალ მოელიან პასუხს ტფილისიდგან. მაშასადამე, ამ რამდენსამე დღის განმავლობაში განსვენებულის მამიას გვამი გადატანილი იქმნება სამრეკლოს ქვეშ.

*** იქიდამვე: როგორც მოგეხსენებათ, მალე ორი წელიწადი შესრულდება, რაც ექიმმა ს. მ. თოფურიამ ქუთაისში კერძო სამკურნალო და საავადმყოფო გამართა, რითაც ამ მცირე ხნის განმავლობაში საზოგადოების სრული ნდობაც მოიპოვა და სახელიც დიდად გაითქვა. სამკურნალოს და საავადმყოფოს საქმე დღემდე კარგად მიდიოდა, ხოლო ის უშლიდა ხელს, რომ თავიდგანვე ვერც ერთსა და ვერც მეორეს ბ-ნმა თოფურიამ შესაფერი სადგომი ვერ აუჩინა, თუმცა ხარჯს არ ერიდებოდა. ამიტომაც თოფურია იძულებული იყო ერთისაცა და მეორისათვისაც ცალკ-ცალკე სადგომი დაექირავებინა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქუთაისში საავადმყოფოსათვის საგანგებოდ მოწყობილი სახლი არ მოიპოვება. ეხლა-კი, როგორც იქმნა, ბ-ნმა თოფურიამ ეს მიზეზიც აიცილა თავიდგან მით, რომ საკუთრად სამკურნალოსა და საავადმყოფოსათვის ბ-ნ თ. ი. ბაინ-

## ფელეტონი

### გაზაფხული.

გაზაფხულია, ირთვება
ბუნება ათას ფერადა,
ვარდი გაშლილა, ბულბულიც
გადაქცეულა მღერადა;
დასტვენს, დამღერის ვარდის ბუჩქს,
დაჰყეფს და დაეკონება,
მისთვის გასწირავს ყველაფერს,
მისთვის მტერს დაემონება.
სულ ყველა ხარობს, სულ ყველა,
ყველასთვის ტკბილი დარია;
ყველა ბუნებას დაჰხარის,
იკვრის სალხინო ზარია.
მაგრამ ჩემთვის-კი სულ მუდამ
ცივი ზამთარი ტრიალებს,
ხან ცრემლებს მადენს თვალებზე,
ხან მწარედ დამიღრიალებს.
უიმედობის ნაღველი
გულს ცეცხლად წამკიდებია,
რაღაც ტანჯვა და წუხილი
სიყრმითვე დამჩემებია.

ვ. მომჩიავანიძე

1891 წ. 25 მაისი

### ქვეყნიერობის მოშორებით

კომედია ოთხ მოქმედებად

(დასასრული იხ. „ივერია" № 207)

#### IV გამოსვლა

იგინივე და აბელა—შემოკარდება

აბელა. შუადღე მშვიდობისათ!

ლადო. სადა ხართ, რო არა ჩანხართ აქამდინ?

აბელა. იმდღამდელს აქეთ სკლადიდამ ფეხი არ გამიდგამ. ეხლა ქვაზე მოველი, თორე კინაღამ დავიღუპე, სუ იმ კოსტას ბრალი-კი იქნებოდა.—პირველის ნახევარზე დუქანში უნდა ვიყო.

ვარო. რა ამბავიაო?

აბელა. სიტყვა მივეცი მამაჩემსა, ყველაფერში გაგიგონებ მეთქი. იმ დღეს რო მარიგებდა, საწყალმა ტირილი დაიწყო; ისე შემეცოდა, რო ბავშვივით ღრიალი ავტეხე. ჩემთვინ ეწვება გული, ჩემთვინა სწუხს, მე-კი, ვირს, არ მესმოდა; ეხლა-კი ღმერთმა, დამიფაროს, ერთი სიტყვაც არ შაუბრუნო.

ვარო. გულ-მავიწყი რო ხართ?

აბელა. არა, მე ის აბელა აღარა ვარ, რომელსაც ერთი კვირის წინათ იცნობდით!—აბა ერთი, ლადო, გასინჯეთ საათი.

ლადო. ოცი მინუტი კიდე დაგრჩომიათ.

აბელა. რა მალე მიდის დრო!—ცოტა სათქმელი მქონდა თქვენთან, ვარო.

ვარო. ბძანეთ. (აბელა ყოყმანობს)

ლადო. არ დაგიშლით. (გადის)

ვარო. რა სათქმელი გაქვთ?

აბელა. თქვენი ჭირიმე, ნუ-კი იწყენთ; დარწმუნებული ბძანდებოდეთ, რო თავის დღეშიაც თქვენი წყენა არ მოვინდომო... ვიცი, ღირსი არა ვარ... გაუნათლებელი ვარ... ბრიყვი ვარ...

ვარო. ვიცი, რაც სათქმელი გაქვთ. მადლობელი ვარ ყურადღებისათვინ, მხოლოდ უნდა მოგახსენო, რო გათხოვებას არ ვაპირებ ჯერ-ჯერობით... თქვენთვის სხვა არის საჭირო, უფრო მდიდარი, უფრო თქვენი მოსაწონი...

აბელა. დიახ, დიახ, მესმის. მაპატიეთ, თუ გაწყენინე, თქვენი წყენა გულში არა მქონია. (სიჩუმე) მაშ კოსტას უნდა მისთხოვდეთ?

ვარო. თავის დღეშიაც არა...

აბელა. იცოდეთ, მაშინ მოვკლამ იმ ყურმუსალს.

ვარო. ვინ გითხრათ?

აბელა. თითონ ამბობს ის მაშენიკი, ტყუის—ლადო დამპირდაო.

ვარო. ლადო როგორ დაჰპირდებოდა ჩემ დაუკითხავათ?

აბელა. ტყუის ის ჰარამზადა.

ლადო. (შემოდის) თორმეტი მინუტი დაგრჩათ.

აბელა. რა მალე მიდის დრო; ხუთი მინუტი რო დარჩეს, მაშინ მითხარით.

#### IV გამოსვლა

იგინივე და სეხნიაშვილი.

აბელა. სად მაიბოტებ, გზა აგრევია?

სეხნ. შუა-დღე მშვიდობისა (უნდა ხელი ჩამოართოს ლადოსა და ვაროს, აბელა გზაში დაუდგება).

აბელა. იქით წადი,—ღირსი ხარ პატიოსანს ხალხს ხელი ჩამაართო?

სეხნ. გავიწყდება, რო მამიშენის დუქანში არა ხარ?

ლადო. ხუმრობს. (აბელას იღლიაში მოსჭიდებს და გვერდზე დააყენებს ხელის ჩამორთმევა)

აბელა. ღმერთმანი, ღირსი არ არი, რო პატიოსანმა კაცმა ხელი გაუწოდოს.

სეხნ. რასაკვირველია, შენსავით ბრიყვი არ ვიქნები, სხვის სახლში ლანძღვას არ დაგიწყებ, თუმცა ღირსი-კი ხარ.

ლადო. ძალიან ხუმარა ვინმეა. (ყურში ჩასჩურჩულებს აბელას, უცნაური თავს უქნევს)

სეხნ. სხვა, ვარო, როგორა ბძანდები?

ვარო. გმადლობთ, კარგათ გახლავარ.

სეხნ. ულმერთობა არ იქნება, თქვენ უქეიფოთ შეიქნათ!

ვარო. თუ-კი ავათ გახდა ადამიანი, ღმერთიანობა იქნება თუ ულმერთობა, სულ ერთია.

აბელა. ყბედობს რაღა; გასამართლებელი რაზბონიკი არავინ ეყოლება, დადის, გულს აყოლებს.—ერთი ეს მითხარ, რისთვინ მობძანდი, როცა არავინ გელოდა?

ლადო. აბელი, ძალიან ოხუნჯი ვინმე ხარ!

სეხნ. ნამდვილი მოლა ნასრ-ედინის ფეხია.

აბელა. ვის ეუბნები—ეეე!—მამა ჩემმა ხო დაგზილა, ეხლა მე დაგზელ; მერე განა მამასავით მოსულიერებას დაგიწყობთ—დაგახრჩობ, როგორც კატას.

სეხნ. გაუზდელი, ბრიყვი, ხარ, მასპინძელსაც პატივს არა სცემ. უკაცრაოთ, მე აქ დარჩომა არ შამიძლიან, მანამ ეს ჯორი აქ არი.

აბელა. ჯ... (ლადო პირზე ხელს მიაფარებს და ყურში ჩასჩურჩულებს)

ლადო. გთხოვთ, ნუ იწყენთ,—მიუტევეთ, ჯერ კიდევ თითქმის ბალღია.

სეხნ. ვხედამ, რო უგუნური არსებაა (აბელა მუშტს უღერებს); რა ვქნათ, მაგისთანა ათასია!—იმდღამდელ საქმის თაობაზე გახლავარ მოსული,—თუ შეიძლება, შემატყობინე პასუხი.

აბელა ვირის თავ-ფეხი თუ გინდა, ვირის თავ-ფეხი; (ლადო ანიშნებს)

სეხნ. როცა არა გკითხამენ, ჩუმათ ეგდე.—რას მიბძანებთ?

ლადო. საუბედუროთ, გადაჭრილი უარი უნდა მოგახსენოთ.

ვარო. არ შაიძლება, მეც ვიცოდე?

სეხნ. უკაცრაოთ, ათსჯერ გამეორება რა საჭიროა?—მშვიდობით! (გამოეთხოვება).

აბელა. შვიდობით, შვიდობით,—წასვლა და კისრის მოტეხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუროვისაგან სახლი იყიდა ბალითურთ. ეს სახლი მთელს ქუთაისში განთქმულია, როგორც თავისის მოწყობილობით, ისე მდებარეობითაც. იგი მდებარეობს ფრანგების უბანში, რიონის ნაპირზე, ეგრედ წოდებულ ფერმის პირდაპირ. ამ ორიოდე კვირის შემდეგ ბ-ნი თოფურია, რაკი დაასრულებს ამ სახლის შეკეთებას, სამკურნალოსა და საავადმყოფოს გადაიტანს ახალს სადგომში. სრული იმედი გვაქვს, რომ ექიმი თოფურია, რაკი ეს ერთი დიდად შემაფერხებელი მიზეზი აიცილა თავიდგან, ბევრად უფრო კარგად აწარმოებს თავისს საქმეს და უფრო ვრცელს ხასიათს მისცემს საავადმყოფოს..

*** გაზ. „Русск. Вѣд.“-ის აუწყებენ პეტერბურგიდგან, რომ უწმიდესმა სინოდმა ნება დართო სასულიერო სასწავლებელთა მმართველობათ, რომ ამ სასწავლებლებშიაც შემოიღონ პრაქტიკულად ბაღოსნობისა და მებოსტნეობის სწავლებაო.

*** 1 ოქტომბერს ფოსტის მოხელემ ისააკ ედიგარის ძემ ტერ-სააკოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ალექსეევის ქუჩაზე, ჩერქეზიშვილის სახლში, დაუკეტავის სადგურიდამ 100 მან. ღირებული საათი მოიპარესო.

*** ამავე დღეს სასახლის ქუჩაზე სახლში მიმავალი ბაგრატ ჯილამდაროვი ავადმყოფობის გამო უეცრად მიწაზე დაეცა, თავი მიწას დაჰკრა და დაიშავა.

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამოცანები)

—

ჭაშნიკებს ნაწერებისას ფრანგთა
ქვეყნიდამ გვაწვდიდა,
ჟურსა უგდებდა ჩვენს ავ-კარგს, სა-
კამათოშიც თავს სცდიდა.
ორპირად მწერლებს ებრძოდა, „მა-
ჰახელასა“ ახლიდა,
ნამეტნაობას ჰკიცხავდა, ცრუ სიბრძ-
ნეს ნიღაბს აცლიდა,
Iგვიანებდა წერაში, მაგრამ თვისს
აზრსა არ სცვლიდა;
აწ ვსცანთ ძვირფასის „ნარკვევით“,
თუ მამულს რა განძს უძღვნიდა!

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ლარგვისის საზოგადოება** (დუშეთის მაზრა). საქართველოს ყოველს კუთხეში მრავლად არის ძველი ციხე-კოშკები და ეკკლესიები, ღირსი ისტორიულად შესწავლისა და გამოკვლევისა. ბევრი ამ ნაშთთაგანი უკვე აწერილ-ანუსხულია და ცნობანიც მათ შესახებ გამოქვეყნებულია. მაგრამ შეუსწავლელი და აუწერელიც კიდევ ბლომად მოიპოვება ალაგ-ალაგ და ნამეტნავად-კი ჩვენსკენ, ქსნის ხეობაზე. მარტო ლარგვისის საზოგადოებაში ოთხი-ხუთი რამ შენიშნავი ძველი ნაშთენი შენობაა, ხოლო ცნობილი-კი მხოლოდ ერთია, სახელდობრ, ლარგვისის მონასტერი. ამ მონასტერს, ეხლა უკვე გაუქმებულს, ხელნაწერი წიგნები ძლიერ ბლომადა ჰქონდა დარჩენილი და ეკკლესიის ერთ-ერთს შენობაში ინახებოდა, თუმცა ამ გვარს შენახვას შენახვას ვერ უწოდებს კაცი, რადგან წვიმა და ნაგავი ბევრი დასდიოდა და ალპობდა და აფუჭებდა. წიგნები რომ ანუსხული და ეკკლესიის ქონებათა სიაში ჩაწერილი ყოფილიყო, მაშინ წახდენით აღარაფერი წახდებოდა; კრებულის ვალია, ყოველივე ქონება ეკკლესიისა წესიერად დაიცვას და შემდეგ თავისს მოადგილეს ჩააბაროს უკლებლივ ყოველივე ნივთი. მაგრამ სწორედ ამ აუნუსხველობამ დაღუპა ეს ხელნაწერები. როდესაც ჯერ ისევ ევსევი ბრძანდებოდა საქართველოს ექსარხოსად აქაურს მღვდელს როგორღაც ყურიმოეკრა, რომ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა მოდის ქსინს ხეობაზე ეკკლესიათა დასათვალიერებლადაო. ამის გამო შესდგომოდა მზადებას, რომ ეკკლესია წესსა და რიგზე დაეხვედრებინა და საყვედური არ მიეღო. სხვათა შორის ეფიქრა, ამ ხალნაწერების მომეტებული ნაწილი რომ სულ დაობებულ-დაფუცუნებულია, ხომ მე დამბრალდება და მოდი თავიდგან მოვიშოროებო. ამ აზრით, თავის გაუგებლობისა გამო, ამოეთხარა ორმო ეკკლესიის გვერდზე და შიგ ჩაეყარა უმეტესი ნაწილი იმ ხელნაწერებისა, დანარჩენი-კი დაესუფთავებინა და ცალკე დაეწყო. უგზობისა გამო ეგზარხის აქამდე ვერ ამოეღწია, ეკკლესიაც დაუთვალიერებელი დარჩა და წიგნებიც მას შემდეგ ისევ ორმოშია დამარხული და მიწა მიყრილი. ვინ იცის, რა და რა წიგნია ორმოში ჩაყრილი, ხოლო ეს-კი აშკარაა, რომ უფრო ძველს ხელ-ნაწერებს ჩაჰყრიდა მღვდელი ორმოში, ვიდრე ახლებს. ერთხელ განსვენებული ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძეც ბრძანდებოდა ამ მონასტრის დასათვალიერებლად და ხელ-ნაწერი წიგნები გასინჯა და ზოგი კიდეც წაიღო თანა, მაგრამ ეს ამბავი ეხლახან იყო, სხვა მღვდლის დროს და იმ დამარხულ წიგნებისა სრულიად არა შეუტყვია-რა. რომ ვინმე შეგნებული კაცი მოვიდოდეს და ყველაფერს დაწვრილებითა და გულ-დადებით ასწერ-ანუსხავდეს, ძლიერ კარგი იქნებოდა. როგორც მოგახსენეთ, ამ მონასტერს გარდა, კიდევ ბევრი რამ სხვა შენობა და ეკკლესიაა აქ შესანიშნავი და თუ მომსვლელი იქნება ვინმე, იმ ნაშთებსაც დაათვალიერებს და შეისწავლის.

სიგმა

**სვანეთი.** მკითხველებს უკვე გაგებული ექნებათ, რომ სვანეთში სამი სკოლა გაიმართა ამ წლის დამდეგიდან: ერთი ნორმალური და ორნიც ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა. ნორმალურს სასწავლებელში უკვე დაიწყეს სწავლა და იმედია, დანარჩენი ორი სასწავლებელიც თავს გაიტანს, თუბოროტ-მომქმედებმა ხელი არ შეუშალეს. ერთი სასწავლებელი დაარსდა ს. მციხში, მეორე ს. მესტიაში და მესამე ს. იფარში. ცოტა არ იყოს, იქონია კიდეც გავლენა ბოროტებამ. ამ სკოლების დაარსებიის დროს, მთავრობის განკარგულებით, საზოგადოებათ განაჩენი შეადგინეს იმის შესახებ, თუ რომელს საზოგადოებას რა შემწეობა შეეძლო გაეწია იფარელებმა და მესტიელებმა განაცხადეს, რომ სასწავლებლისთვის სადგომსა, შეშასა და მოსამსახურეს ჩვენ ვიკისრებთო, ს. მულახელებმა იკისრეს სასწავლებლის სადგომი, შეშა, მოსამსახურე და 200 მ. სასწავლებლის მოწყობისათვის. ორმავე საზოგადოებამ აასრულა კიდეც თითქმის, რაც პირობა დასდეს, ბევრი აღარ აკლია-რა და სხვები-კი ჯერ არ შესდგომიან საქმეს.

ამ ზამთარს მთავრობამ გამოგზავნა მასწავლებელი ს. მესტიაში ბ-ნი გერსამი და, მთავრობისვე მოწერილობით, ადგილობრივმა ბლაღოჩინმა გამოუცხადა სოფელს, რომ შესდგომოდნენ სასწავლებლის სადგომის გაკეთებას, როგორც განაჩენით პირობა ჰქონდათ დადებილი, მაგრამ მესტიელებმა უარი განაცხადეს: ჩვენ გვეგონა დიდი სკოლა გაიმართებოდა; ნორმალური, თორემ ამისთანა „ფარშივს“ სკოლას არაფერს შევწირავთო. ამის გამო მ. ბლაღოჩინი ძალიან გაუწყრა და უნდოდა, მთავრობისთვის მოეხსენებინა, მაგრამ რამდენისამე დღის უკან სთხოვეს და აღარ მოახსენა. ამ უარის გამო ზოგიერთს ჩოჩქოლი და ლაპარაკი შეექნათ, თუ საიდან წარმოადგინეს ეს აზრი, ვითომ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლა ფარშივია და ნორმალური სკოლა კარგი და ვინ ჩაგონა ამ უმეცარს ხალხსაო. ბოლოს გაიგეს კიდეც მაგრამ ჩაჩუმდნენ...

ჩვენში სამღვდელოება და პოლიცია ვერ მორიგებულან, ერთმანეთი სძულთ და სვანებსაც კიდევ ორივენი შესძულდნენ. როგორც დავრწმუნდი, აი რა ყოფილა უმთავრესი მიზეზი სიძულილისა: რაც სვანეთში სამღვდელოება შემოვიდა, მას შემდეგ სამღვდელონივე იყვნენ სოფლის მწერლებად, მით უფრო, რომ სვანეთში ეხლაც-კი, არამც თუ მაშინ, ძალიან ძვირად იპოვება წიგნის მცოდნე კაცი. რასაკვირველია, მწერლებს დიდი გავლენა ჰქონდათ ხალხში და თავიანთი სარგებლობაც შეეძლოთ. ხშირად ხდებოდა, რომ თითონ მწერლებივ არჩევდნენ საქმეებს, მოჩივარი პირდაპირ მღვდელებთან მიდიოდა საჩივლელად და არა მოხელეებთან, მოხელეებიც სულ მუდამ საჩივარს მღვდლების სახლებში არჩევდნენ. მღვდლებსავე პოლიციაც ხელში ჰყავდათ, რადგან სასოფლო კანცელარიები არ იყო სოფლებში, ვინიცობაა ბოქაული ანუ მისი თანაშემწე სოფელში წავიდოდნენ, უთუოდ მღვდლის სახლში უნდა ჩამომხდარიყვნენ და თუ რამე გამოსაძიებელი საქმე ჰქონდათ, როგორც მღვდელი უჩვენებდა, ისე დასწერდნენ.

ეს ამბავი შეიტყო ადგილობრივმა მაზრის უფროსმა ბ-ნმა ალშიბაიამ და განკარგულება მოახდინა, რომ ყოველს საზოგადოებაში ააგეთ სადგომი სასოფლო კანცელარიისთვის და აგრეთვე მომსვლელ მოხელეებისათვისაო. ეს განკარგულება ასრულდა: ყოველს საზოგადოებაში სადგომები ააგეს. აგრეთვე ბოქაულმა ბ-ნმა ბაქრაძემ ბლაღოჩინებს შეატყობინა, რომ ზოგიერთი მღვდელი არ გარეულიყო სოფლის მოხელეების საქმეში.

თვით დამსწრე

---

სეხნ. აი შე ორთავა ვირო! (გადის).

აბელა. ილანძღები! (გამოუდგება, ლადო დაიჭერს) გამიშვი, ერთი კარგათ დავბეგო!

ლადო. სირცხვილია, კაცო; აბა როგორ შაიძლება, სახლიდამ სტუმარი გაგვიგდე.

აბელა. ეზოში-კი შამოსაშვებია? დაპირებული ვარ, ახლოც რო გამოუაროს თქვენ სახლს, ვცემო.— აბა რეეთი დარჩა?

ლადო. ოთხი მინუტი.

აბელა. ვარო, თქვენი ღირსი არი ვინე? ლადო თუა, თორე სხვა არავინ!... ეჰ, ნახვამდინ! (გამოეთხოვება და გავა)

ვარო. გაიქეცით, თორე დაგიგვიანდებათ.

V გამოსვლა

ლადო და ვარო, ბოლოს სტეფ. ელის. და მაშო

ლადო. აქ არ დეეწიოს და ჩხუბი არ აუტეხოს! რას დაღონებულხარ, ვარო? ჰო, მართლა ბოდიშს ვიხდი, რომ შენ დაუკითხავათ საქმეებს გირიგებ—იმ დღეს სეხნიაშვილმა მთხოვდა, რომ შენზედ კეთილი გავლენა მექონია, ე. ი. ჩამეგონებინა შენთვინ, რო იმაზე კარგ ქმარს თავის დღეშიაც ვერ იშოვნი. რადგანაც ვიცოდი, რა აზრისაცა ხარ გათხოვებაზე, იმიტომ მე ჩემის მოსაზრებით უარი უთხარი.

ვარო. გაგონილა? რა იცოდი, მინდოდა გათხოვება, თუ არა? წადი ეხლავე სეხნიაშვილთან და შენით მაახსენე, რო ვხუმრობდი-თქო, დამავიწყდა, ვაროსათვინ გადამეცა-თქო.

ლადო. არა ხუმრობ?

ვარო. აბა რასა ყმაწვილობ, სადაური ხუმრობაა: რეერთი ხანია ველი, როდის იქნება ველირსო გათხოვებას-მეთქი, შენ-კი შენის ნებით უარს ეუბნები.

ლადო. შენგან მესმის?

ვარო. ვერა ხედამ? მერე რა არი აქ გასაკვირველი?

ლადო. შენ არ ამობდი, რო თუ კაცი არ შემიყვარდა, არ მივთხოვდებიო?

ვარო. მერე დარწმუნებული ხარ, რო არ მიყვარს?

ლადო. სეხნიაშვილი?

ვარო. დიახ, კოსტა სეხნიაშვილი.

ლადო. სტყუი, სტყუი, ათასჯერა სტყუი?

ვარო. ძალიან შემცდარი ყოფილხარ, თუ ტყუილი გგონია.

ლადო. შეუძლებელია!

ვარო. შეუძლებელი არაფერიც არ არი.

ლადო. მაშ ეგ საძაგელი, სალახანა, გარყვნილი ავაზაკი გიყვარს?

ვარო. სირცხვილია ლანძღვა; თავის დღეშიაც არ მოვიფიქრებდი, თუ ჩემ გრძნობას პატივს არა სცემდი; შენ უპატიურად იხსეინიებ იმას, ვინც ჩემთვინ ძვირფასია.

ლადო. ავად ხო არა ხარ?

ვარო. ავადმყოფობისაგან ღმერთმა დამიფაროს, რო შენი საწამლებელი არ გავხდე; ან ჩემისთანა ბედნიერი თავის დღეში ავად გახდება?

ლადო. მაშ რას აპირობ?

ვარო. რაღა პირობებია საჭირო, —განა შენზე ღარიბები ვიქნებით? ათასი თუმანი წლიური შემოსავალი გვექნება, ცხენები გვყავს,—შენ-კი, ვინ იცის, როდის გეყოლება,—თქვენზე კაი სახლები გვაქვს, ვენახები გვაქვს, დუქნები, ოქრო, ვერცხლი; მერე ბებერი დღე-დღეზე ჩაძაღლდება,— დავრჩები მდიდარი ქვრივი...

ლადო. (ყურებს დაიცობს) კარგი, კარგი. (გასვლას აპირობს).

ვარო. (დაიჭერს) სად მიხვალ, დაჯე! მე ჩემი გავათავე, ეხლა შენი თქვი.

ლადო. იქნება, გგონია, აგისრულდეს შენი უზნეო ოცნება?

ვარო. მაშინ შაგიძლიან ზნეობაზე ლაპარაკი, როცა შენ თითონ იყო ზნეობიანი, მაგრამ საუბედუროდ ზნეობაზე ძალიან დაშორებული ხარ.—მემრე ვინ დამიშლის— რომა?

ლადო. მე, ჯერ როგორც ძმაზე უფრო მახლობელი, მერე როგორც შენი მეგობარის ქმარი.

ვარო. როცა რო არ დამიშალო, მაშინ დაიკვეხე!

ლადო. გეხუმრებოდი: მინდოდა, გამემეცადნე, რამდენად ცხოვრებისაგან გაბრძნევებული სადი ჰქვა გქონდა; ჩემდა სასიხარულოთ, უნდა გამოვტყდე, რო ამისთანა ქვა-დამჯდრობას შენგან თავის დღეშიაც არ მოველოდი, ამოზენ, მარჭაკლებისაგან გული აქვს გაწყალებულიო,— შენ-კი ამისთანა ბედი ხელის გაუნძრევლად კალთაში გივარდება.—საღამოზე წავალ, ყველაფერს უამბობ; რაც მალე მოხდება ჯვარისწერა, მით უკეთესია.

ვარო. გაკვირვებული ვარ შენგან: ან უცნაური ხარ, ან... ან...

ლადო. ან სულელი,—თქვი რაღა!

ვარო. ან ზნეობა გაფუჭებული.

ლადო. უფრო უარესი. ზნეობაზე, უმჯობესია, ლაპარაკს თავი დაანებო. შენ ის მითხარ, როდის გინდა, გავაჩაღოთ ქორწილი? მე მეჯვარე ვარ შენი—იცოდე! როდის აპირობ?

ვარო. როდესაც ჩემი ქეიფია,— შენ შენი თავისა იფიქრე.

ლადო. მე ყველა მოფიქრებული მაქვს. ორი ათასი თუმანი ხო ბანკში გვაქვს,—თქვენ იმოდენა, არა მგონია, გქონდეთ, იმ ღამესვე, რაღამესაც ჯვარს დავიწერთ, ჩავსხდებით ტარანტასში და ქალაქში გავწევთ, იქიდამ ბათუმს, სტამბოლს, მარსელს და პარიჟს. ერთი ხუთიოდე თვე იქ დავრჩებით, — მერე შვეიცარიაში, მემრე ძველი ნაცნობებისაკენ პეტერბურგში, მემრე შინ დავბრუნდებით. აქედამ ფეხს აღარ მოვიცვლი,—ერთი-ორი კვირაობით თუ ჩავალთ ტფილისში საახალწლოთ, თორე სუ ექიმობაში ვიქნები გართული. ექვსის თვის შემდეგ შენ ახალგაზდა მდიდარი ქვრივი იქნები,—ხო ხშირათ ივლი ჩვენსა?—ავათ ხო არა ხარ, რა ფერი გაძევს? (ხმას არა სცემს, მხოლოთ ხელცახოცსა ჰკვნეტს).—ჰო, მაშო კიდე თეთრ პენიუარში ჩაის გაგვიკეთებს ხოლმე... (მივარდება რა იყო, ვარო?)

ვარო. (წამოდგება) იქით!.. ეგ იყო შენი პლანები ამ ერთი კვირის წინათ?—გული მტკივა, რო გხედამ აგრე დამცირებულს... ახ. ლადო, როგორ არა გევხარ იმ ლადოს, რომელსაც ამ სულ ერთი კვირის წინათ ვიცნობდი. (ჩაჯდება და ტირის).

ლადო. ვარო, ტირი?

ვარო. არ შამიძლიან, ვერ ამიტანია!.. (ტირის)

ლადო. ვაროჯან, ჩემო მშვენიერო, განა მართლა გიყვარვარ?.. (სვენს და გაგრძელებული კოცნა) რაღას მაწვალებდი, რაღათა მტანჯავდი?..

ვარო. შენ რაღათა მტანჯავდი?.. (შემოდიან ერთის კარით სტეფანე, მეორე კარით ელისაბედი და მაშო. უხმო სურათი).

ფარდა.

ან. მ. ბენაშვილი

პეტერბურგი
21 ენკენისთვეს 1890 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი ქუთაისიდგან

(კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამო)

ბევრმა არც-კი იცის, რომ ეს შვიდიოდე წელიწადია, რაც ქუთაისში არსებობს განყოფილება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა და რომ ეს განყოფილება, ცოტად თუ ბევრად, შეძლებისა დაგვარად, იღწვის ჩვენის ქვეყნის ნივთიერ ყოფა-მდგომარეობის განსაკარგებლად. რამდენისამე კაცის მხნეობამ და თავგამოდებამ ისა ჰქმნა, რომ ჩვენის საზოგადოების ყურადღება მიაპყრობინა ჩვენის ეკონომიურის მდგომარეობისათვის დ̃, თუმცა იმ განყოფილებამ ამას წინად, სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო, კინაღამ სული დალია, შესამჩნევი სამსახური დასდო ჩვენს მხარეს. იმისის მოთაოვეობით და მეცადინეობით ამ ორიოდე წლის განმავლობაში პირველ-დასაწყისს სამეურნეო სკოლას მოვესწრებით. იმისავე გარჯამ სხვა-და-სხვა ადგილას საქმით დაარწმუნა ხალხი, რომ საჭირო და შესაძლოც არის ვაზის წამლობა და, თუ არა ეს წამლობა, სადაც არის, ჩვენის სიმდიდრის თავი და თავი წყარო, სახელდობრ, ვაზი, ხელიდგან გამოგვეცლებაო. შარშან ერთმა წარმომადგენელმა განყოფილებისამ, განყოფილებისავე მინდობილობით, რაჭა-იმერეთში უწამლა ვაზს ხალხის თანადასწრებით და ამ საშუალებით მრავალი ურწმუნო დაარწმუნა, რომ ვაზის ჭირი ზეცით მოვლინებული არ არის, რომ ადამიანმა ცოდნა და მხნეობა თუ მიიშველია, ამ მჩაგვრელს ძალას ქვეყნისას პირ-ქვე დაამხობს. აი, სწორედ ამის ნაყოფია ის გარემოება, რომ დღეს გლეხებიც-კი, რომლებსაც იქნება მთელს თავის სიცოცხლეში ქუთაისიც არ უნახავთ, მზად არიან შეიძინონ ყოველივე იარალი და წამალი ვაზის წამლობისათვის. იმავე განყოფილების შუამავლობითა და მეცადინეობით გურია-იმერეთსა და სამეგრელოში ვრცელდება კარგის ჯიშის აბრეშუმის ჭია, ასე რომ ამ მოკლეს ხანში ძველმა ჭიამ, რომელიც სხვა-და-სხვა სენით არის შეპყრობილი და ნაკლებად მომცემია, შესაძლოა სრულიად ადგილი დაუთმოს ამ ახალს ჭიას.

სხვა რომ არაფერი მოვიხსენიოთ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების განყოფილების მოღვაწეობისა, ვგონებთ, რაცა ვსთქვით, ისიც საკმაოა, რომ მკითხველი დავარწმუნოთ, თუ რაოდენი სამსახური გაუწევია ამ განყოფილებას ჩვენის ქვეყნისათვის და რაოდენი კიდევ მოსალოდნელია, თუ რომ საზოგადოება მეტს თანაგრძნობასა დ̃ შემწეობას აღმოუჩენს ამ ნორჩს დაწესებულებას. ის-კი სამწუხაროა, რომ ამ განყოფილებას წევრი ძალიან ცოტა ჰყავს, რის გამოც ხელ-მოკლეა და იმდენს ვერას აკეთებს, რამდენიც საჭირო და შესაძლო არის. განყოფილების წევრთა შორის იშვიათად ვხედავთ ჩვენს მემამულეებს, რომელნიც ნივთიერად მეტად დაქვეითებულნი და დაჩაგრულნი არიან და ყელამდე ვალში არიან ჩაცვივნულნი. ჩვენის განათლებულის წოდების წარმომადგენელნიც-კი, რომელთა ზნეობრივი მოვალეობაა, ქვეყნის წარმატებისათვის იზრუნონ, გულ-გრილად ეკიდებიან სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას და არამც თუ წევრობას კისრულობენ, არამედ განყოფილების სხდომებსაც არ ესწრებიან, ვინც ერთხელვე წევრად ჩაწერილა, იმის საწევრო ფულს, ძალიანაც რომ მოინდომოთ, დროზე ვერ გამოაცლით ხელიდგან, და თუ ეს განყოფილება დღემდე სულს იბრუნებს და მოღვაწეობს, ამის მიზეზი ათიოდე კაცის მხნეობაა და აქაურის ადმინისტრაციის ყურადღება და დახმარება.

ამ შვიდიოდე წლის განმავლობაში სამეურნეო საზოგადოების განყოფილებამ სასოგადოების გულ-გრილობის გამო, როგორც ზემოდა ვსთქვით, კინაღამ სული დალია; ორს წელიწადს სრულიად არ უმოქმედნია და მხოლოდ ამ ორის წლის წინად ხელ-ახლავ იწყო მოღვაწეობა და ამ ხნის განმავლობაში ოთხი თუ ხუთი კრება ჰქონდა. წელს, 29 ამ თთვისას, პირველი კრება ჰქონდა და იმედიც მოგვცა, რომ განყოფილება მხნეობას გაიორკეცებს და წინანდელზედ მეტს შრომასა და გარჯას გასწევს ახალის პრეზიდენტის და წინამძღოლის—ბ-ნ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ხელმძღვანელობითა. ამ პირველს კრებააზე ახალგაზდა აგრონომმა ბ-ნმა ტიმოფეევმა, ერთ-ერთის საფილოქსერო დასის გამგემ, რომელსაც ჩვენი მხარე დაუვლია და მრავალს ადგილას ვაზის სხვა-და-სხვა ჭირი აღმოუჩენია, ვრცელი მოხსენება წაიკითხა ვაზის მრავალგვარ ჭირის შესახებ, სახელდობრ, ფილოქსერისა, მილდიუსა და ნაცარის თაობაზე. ბ-ნმა ტიმოფეევმა სთქვა, რომ ქუთაისის გუბერნიაში ფილოქსერას მაგრად გაუდგამს ფეხი, ასე რომ, თუ მხნედა და შედგრად არ შევებრძოლეთ ამ ჭირს, რამდენისამე წლის შემდეგ შესაძლოა, დიდი გაჭირვება და განსაცდელი ეწვიოს ქვეყანასაო. გარდა ამისა, ბ-მა ტიმოფეევმა ჩამოსთვალა სხვა-და-სხვა საშუალება წამლობისა და რამდენიმე პრაქტიკული რჩევაც მისცა განყოფილებას იმის შესახებ, თუ რა გვარად უნდა შეეჭიდოს განყოფილება ვაზის სხვა-და-სხვა ჭირს და განსაკუთრებით მილდიუს. მოხსენების წაკითხვის შემდეგ ბ-ნმა ხოჯაევმა უამბო კრებას, თუ რა საშუალება უხმარია განყოფილებას მილდიუსთან საბრძოლველად და სადა და სად უწამლია ვაზისათვის. ამას გარდა ხოჯაევმა მოახსენა კრებას, რომ ბ-ნი ი. კოკოჩევი, საათიაქო მასალათა საწყობის პატრონი, თანახმაა, გამოიწეროს 150 მანქანა ვერმორელისა საჭირო წამლითურთ და გაჰყიდოს ეს მანქანები იმ ფასად, რა ფასადაც თვით განყოფილება იყიდისო. კრებამ მოიწონა ბ-ნ კოკოჩევის განზრახვა, ხოლო ზოგიერთმა წევრმა განაცხადა, რომ ხალხს იმდენად სწამს ვაზის წამლობის ძალა და საჭიროება და ისე მალე დაიტაცებს ამ იარაღს და მასალას, რომ 150 მანქანა საკმაო არ არისო. ბოლოს კრებამ გადასწყვიტა სთხოვოს ბ-ნს კოკოჩევს, 300 მანქანა გამოიწეროს საჭირო მასალითურთ. ბ-ნმა პრეზიდენტმა განყოფილებისამ ტიმოფეევს სთხოვა მოკლე დარიგება შეადგინოს იმის თაობაზე, თუ რა ნაირად და როგორ უნდა იხმარონ მანქანები და წამალი; ამ მოკლე დარიგების ქართულად გადათარგმნა და დაბეჭდვა განყოფილებას დეკანოზმა მამა ლამბაშიძემ უფასოდ აღუთქვა.

ბ-ნ პრეზიდენტისავე რჩევით განყოფილებამ დაადგინა, თთვეში ერთხელ გამართონ ხოლმე კრება, სახელდობრ, ყოველის თთვის 20-ს, რათა მეტი სიფხიზლე და დაუზარლობა გამოიჩინოს. ბოლოს კრებამ განყოფილების მდივნად ერთხმად ბ-ნი გ. ფ. ზდანოვიჩი აირჩია.

დასასრულ, არ შევვიძლია ჩვენს ქუთათურს საზოგადოებას საყვედური არ განვუცხადოთ იმის შესახებ, რომ განყოფილების კრებაზე კერძო დამსწრე ძალიან ცოტა იყო, თუმცა წინა დღით განყოფილებამ მიწვევის ბარათები ჩამოატარა მთელს ქალაქში. მართალია, იმავე დილას პანაშვიდი იყო დანიშნული განსვენებულის პოეტის მამია გურიელის სულის მოსახსენებლად და დიდ-ძალი ხალხი პანაშვიდზე იყო წასული, მაგრამ ბევრი, ვინც პანაშვიდზე არა ყოფილა, არც სამეურნეო საზოგადოების განყოფილების კრებას დასწრებია. სურვილი რომ ყოფილიყო, კაცი იქაც მოასწრობდა და აქაც. ნათქვამია, გული გულობდეს, თორემ ქადა ორისავე ხელით იჭმევაო.

ა. ნა—ლი

## უცხოეთი

**ინგლისი.** 30 სექტემბერს გლადსტონმა სიტყვა წარმოსთქვა ნიუკესტლში. მიუხედავად იმისა, რომ გლადსტონზე ადრე ლიბერალთა დასისავე კაცებმა გარკურმა და მორლეიმ წარმოსთქვეს სიტყვები, გლადსტონის სიტყვა მაინც საყურადღებოა იმათთვის, ვისაც-კი ჰსურს ინგლისის საქმეთა ვითარება კარგად შეიგნოს. ამ მოკლე ხანში ინგლისის ერმა უნდა გადასწყვიტოს, თუ რომელს დასს უნდა ჩაუვარდეს ხელში მმართველობა. ბევრნი ეხლავე ამბობენ, ლიბერალთა დასი გაიმარჯვებსო და აი სწორედ ამ მხრივაა საყურადღებო გლადსტონის მიერ წარმოთქმული სიტყვა. გლადსტონმა ვრცლად განმარტა პროგრამა ლიბერალთა დასისა და წინასწარ აღნიშნა, რა ფერიც უნდა დაედოს ინგლისის საპოლიტიკო ცხოვრებას მომავალში.

უპირველეს მოვალეობად ლიბერალთა დასისა გლადსტონი ირლანდიის საქმის გადაწყვეტასა ჰხედის. მისის აზრით, ეს საქმე იმ ზომამდეა გამწვავებული, რომ, თუ ეხლაც გადუწყვეტელი დარჩა, შეიძლება მტრობა გამოიწვიოს ირლანდიელთა მიერ არა მთავრობისადმი, არამედ ერისადმიო. „თუ ირლანდია მომავალშიაც, ახალ არჩევანების შემდეგაც, ისევ გაჭირვებულს მდგომარეობაში დარჩება, გამოვა, რომ იმ ხალხს მთავრობა-კი არ აწუხებს და სჩაგრავს, არამედ თქვენ, ინგლისის ერი. მაშ იცოდეთო,—სთქვა მღელვარებით ორატორმა,—რომ იმაზე სამწუხარო, საზიზღარი და საზარელი სანახავი არა არის-რა, როდესაც ერთი რომელიმე ერი სჩაგრავს და აწუხებს მეორესა. მე ვერა დამაჯერებს-რა, თუ ინგლისის დიდებული ერი იკადრებს ამასაო." გლადსტონის აზრით, სრული იმედია, რომ არჩევანები მშვიდობიანად დამთავრდება და ამის გამო ჰომრულიც შეწყნარებულ იქნება ირლანდიისათვის. „თუ ლორდებმა, როგორც უკვე სალისბიურიმაცა სთქვა, წინააღმდეგობა გაუწიეს ჰომრულის შეწყნარებას, თვით იმათვე გაუხდებათ ყველაზე ადრე ეს საქმე სანანებლადაო." თუ მართლა გამართლდა სალისბიურის მიერ ნათქვამი, მაშინ ინგლისის ერს სრულიად ახალი და ფრიად საყურადღებო საგანი აღმოუჩნდება გარდასაწყვეტი და სახელდობრ აი რა: თვით-მმართველია ინგლისი თავის თავისა, თუ ერსა და მთავრობას შუა კიდევ არის ძალა რამ გახიდული და ამ ძალას შეუძლიან შეაფერხოს მოქმედება იმ კონსტიტუციისა, რომლის გულისთვისაც თავ-გამოდებითა და ბრძნულად უშრომნია და უბრძოლნია რამდენსამე მამულის მოყვარე თაობას." ამ კილოზე ლაპარაკით გლადსტონს ჯერ არას დროს არ გაუფრთხილებია ლორდთა პალატა, ხოლო ეხლა-კი გაბედვით განაცხადა თავისი აზრი და შეატყობინა, რომ, თუ ერის სურვილს წინააღუდგებით, მაშინ მაგ თქვენის კალო-გალეწილის ლორდთა პალატის არსებობის ჰოარაობის საქმესაც წამოვაყენებთ წინაო.

ირლანდიის საქმის გადაწყვეტის შემდეგ შესაძლებელი იქნება სხვა საქმეთა გაკეთება-გადაწყვეტაც, ხოლო გადასაწყვეტი საქმე ბლომადაა დარჩენილი ტორიების მმართველობის წყალობითაო, სთქვა გლადსტონმა. ორატორმა ჩამოსთვალა კიდეც, რა და რა საქმეა გასაკეთებელი, მაგრამ ის-კი არ აღნიშნა, რომელი მათგანი უფრო საჭირო და საჩქაროა. მხოლოდ იმითი შეიძლება შეიტყოს კაცმა, რომელი საქმე უფრო საყურადღებოდ მიაჩნია გლადსტონს, რომ ზოგზე დიდხანს ილაპარაკა და ზოგი-კი მხოლოდ რამდენისამე სიტყვით მოიხსენია. პირველ ხარისხოვან საქმეთა შორის ამ ანგარიშით უნდა ჩაითვალოს პარლამენტის ვადის შემოკლება, რადგანაც, როგორც გამოცდილებამ გვაჩვენა, აწინდელი შვიდის წლის ვადა ძლიერ ხანგრძლივი ვადააო, მეორე საქმე-განკარგება და განწესიერება ხარჯთა გაწერისა, რომ ყველამ თანაბრად სწიოს უღელი, და მესამეც—სახელმწიფო ეკონომიის საქმე. დიდხანს ილაპარაკა გლადსტონმა აგრეთვე კანონმდებლობაში ცვლილებათა შემოღებისა და შოტლანდიისა და ვალისის სამთავროში აწინდელ ეკკლესიისთვის მთავრობის მიერ მფარველობის მოსპობის შესახებაც.

უფრო დიდი ყურადღება მიაქცია გლადსტონმა არჩევანების საქმეში ცვლილებათა შემოღების საჭიროებას. ამას იმითი ასაბუთებდა, რომ ვალდებულნი ვართ, მუშა ხალხის ინტერესი დავიცვათ, ხოლო ეხლა ამ ხალხს თავის ხელ-მოკლეობის გამო არ შეუძლიან დიდხანს დარჩეს ლონდონში არჩევნებსა და სესიებზე და ნებაუნებულად უფლება ეხლუდება. ამასთანავე, გლადსტონის აზრით, საჭიროა, რო მის უპირატესობა მოისპოს, რომელიც უძრავ ქონების პატრონთა აქვთ მინიჭებული, არჩევანების დროს გაწეული ხარჯი სახელმწიფომ იკისროს და საზოგადოებათა პალატის წევრთ ჯამაგირები დაენიშნოს. ყოველივე ეს იმიტომაა საჭირო, რომ მუშა ხალხს შეძლებას მისცემს, თავისი უფლება გამოიყენოსო.

გლადსტონის სიტყვა მუშათა საქმეთაც შეეხება. სოფლის მუშა ხალხს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ლიბერალთა დასმაო, უნდა ეცადოს და ადგილობრივი თვითმმართველობა დაუწესოს, რისთვისაც საჭიროა სასოფლო და სამრევლო საბჭოების დაარსებაო. „ამ დაწესებულებათა შემწეობით ხალხი უფრო მეტად ისარგებლებს მიწით და უკეთესადაც შეიმუშავებს. არც ამ საქმისა და არც ქარხნების მუშა ხალხის საქმის შესახებ გლადსტონს გადაწყვეტილი და გარკვეული არა უთქვამს-რა. „მე გადაწყვეტილს ვერას ვიტყვი იმ საქმის შესახებ, რომელიც ამომრჩეველთა მიერ ჯერჯეროვანად განსჯილ-შესწავლილი არ არის, მხოლოდ რჩევით-კი ვურჩევ, რომ, ვიდრე რასმე გადასწყვეტავდნენ, ჯერ გულ-დადებითა და დაწვრილებით შეისწავლონ საგანი". აქედგან სჩანს, რომ გლადსტონი არ უარჰყოფს მთავრობის ჩარევას მუშათა საქმეში. ეს საქმე მგონია სწორედ ისევე წავა, როგორც ირლანდიის საქმე წავიდა. ლიბერალთა დასი ჰომრულს ჯერ ცოტა არ იყოს, უგულოდ უყურებდა, მაგრამ შემდეგ თავის უმთავრეს საქმედ გაჰხადა. ვინ იცის, იქნება შემდეგ მთავრობის მუშათა საქმეში ჩარევაც ამ გვარადვე ჩაიწეროს თავისს პროგრამაში ლიბერალთა დასმა.

გლადსტონის სიტყვა გაცხარებულს ბაასს გამოიწვევს დასთა შორის და, კითხვა არ უნდა, ტორიები უსაყვედურებენ, რატომ დაწვრილებით არ განმარტეთ ირლანდიის ბილლიო. ამ საყვედურის შესახებ „Daily News"-მა პასუხიც უკვე დაჰბეჭდა. „არც ერთი მხედართ-მთავარი ბრძოლის წინად არ იტყვის, რა სახითა და როგორ შეებრძოლება მტერსაო".

## წვრილი ამბავი

**დინამიტით თავის მოკვლა.** ერთს ამერიკელს, სახელად კაროლს, სან-ფრანცისკოში დინამიტით მოუკლავს თავი. აი როგორ მომხდარა ეს ამბავი. კაროლი მოსულა საიდანღაც სან-ფრანცისკოში და საუკეთესო სასტუმრო „Preseot hause"-ში ჩამომხდარა. ცოტა ხანს შემდეგ მოისმა თურმე სასტუმროდამ საშინელი ჭექა, რომელმაც მთელის უბნის მცხოვრებნი შეაზარა. კაროლს თავისს ოთახში დინამიტის ყუმბარა აუფეთქებინა. საზარელი სანახავი იყო თურმე ეს ოთახი აფეთქების შემდეგ. კაროლის სხეული სულ ლუკმა-ლუკმა დაფლეთილი ყრილა აქა-იქ. მისი ერთი ხელი ქუჩაში უპოვნიათ; სახლის ავეჯი დალეწილა, კედლები დასეთქილა, ჭერი ერთს ალაგას ჩამონგრეულა და კაროლის სისხლითა და ტვინით მოსვრილა.

— ამერიკის ცნობილს იუმორისტს მარკ-ტვენის მომავალს ზაფხულს ევროპაში მოგზაურობა განუზრახავს. გაზეთ „Sun"-ის რედაქტორს ესლავე პირობა შეუკრავს ტვენთან, რომ იმისი წერილები თავისს გაზეთში ჰბეჭდოს და ძლიერ დიდი ფასიც შეუკვეთია. თითო წერილში ტვენს 1,200 დოლლარი ($2^1/_2$ ათასი მანათი) უნდა აძლიოს თურმე. ამავე რედაქტორს ტვენისგან თავის გაზეთისთვის ერთი პატარა მოთხრობა 12,000 დოლლარად უყიდნია. ასეთი დიდი ჯილდო მწერლებისთვის იშვიათი ამბავია ამერიკაში. გოულდლესს ერთს მოთხრობაში, რომელიც 1,500 სტრიქონს შეიცავს, 10,000 დოლლარი აუღია ჯილდოდ, ასე რომ სტრიქონზე 15 მანათი რგებია. მისს ბურნეტს კიდევ თავისს რომანის პირველი გამოცემა 15,000 დოლლარად მიუყიდნია გამომცემლისთვის.

— ინგლისში შობის დღესასწაულების წინად ახირებულ გამოფენის გამართვას აპირობენ—ჭსურთ, გამართონ გამოფენა სიღარიბისა. ამ გამოფენაზე შეჰკრებენ იმ ნივთებს, რომელიც ქუჩაში გადაგდებულ და შემდეგ სხვა-და-სხვა საქველმოქმედო საზოგადოების მიერ აღზრდილ ყმაწვილებისაგან არის გაკეთებული სახელოსნოებში. ამას გარდა ხსენებულს გამოფენაზედვე იქნება ნამდვილი სურათები და ასლები იმ სადგომებისა, სადაც ათასობით სცხოვრობენ უმწეო ღარიბნი. ეს გამოფენაო, ამბობენ მეთაურნი ამ საქმისა, გულის ხმას ჩააგდებს ხალხსა და შეაგნებინებს, რა ძნელიც არის გაჭირვება და სიღარიბეო.

— ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენაზე სხვათა შორის 400 პიანინოც იქნება დადგმული პირამდის მსგავსად და ერთი კაცი ერთად დაუკრავს ამ პიანინოებს ელექტრონის ძალის შემწეობით.

— მხატვარს იგიუსტ ტალკლუეს ცოლი მოუკვდა და ისე დანაღვლიანდა, რომ თავის მოკვლა გადასწყვიტა. ჯერ ჩამოხრჩობა უნდოდა, მაგრამ თოკი ჩამოუწყდა და გადარჩა. ორის დღის შემდეგ გაღვიძებულის ნახშირის სუნით მოინდომა თავის დარჩობა, მაგრამ მეზობელმა ფანჯარა შეუმტვრია და კვლავ გადაარჩინა სიკვდილს. მესამედ დანა დაიცა გულში, მაგრამ მაინც დროზე მიასწრეს, წაიყვანეს სამკურნალოში და მოარჩინეს. მეოთხედ გალესილი გოგირდი დალია, მაგრამ კვლავ მოარჩინეს. ბოლოს ელირსა და ხლოროფორმით მოიწამლა თავი.

## დეპეშა

30 სექტემბერი

**კოპენჰაგენი.** ორშაბათს ფრედენსბორგის მიდამოებში სეფე-ნადირობა იქნება. საბერძნეთის მეფე და მემკვიდრე მონაწილეობას არ მიიღებენ ნადირობაში.

1 ოქტომბერი

**მილანი.** დღეს საღამოს აქ მოვიდნენ ბ-ნნი გირსი და ვლანგალი პალლანცადგან და მარკიზ დი-რუდინი რომიდგან. ბ-ნნი გირსი და დი-რუდინი „Cavour“-ის ოტელში დადგნენ. ხვალ დილით რუსეთისა და იტალიის მინისტრს თათბირი ექმნებათ და შემდეგ ვლანგალთან ერთად წავლენ მონცაში, სადაც საუზმეზედ არიან მეფესთან მიპატიჟებულნი.

**ლონდონი,** 1 ოქტომბერი. პარნელის დასის დეპუტატებმა პროკლამაცია გამოსცეს ირლანდიის ერის მიმართ, რომელშიაც აცხადებენ, რომ განზრახვა გვაქვს, კვლავ ვიბრძოლოთ ერსოვნულის დამოუკიდებლობისათვის, ვიდრე ერთიანს ავტონომიას აღვადგენდეთ საპარლამენტო დასისასაო. უნდათ კონვენტი შეადგინონ ირლანდიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა და ლონის ძიებანი გამოჰნახონ პარნელის პროგრამის განსახორციელებლად. დასასრულ აცხადებენ, რომ არაფერი საერთო არა გვაქვს-რა იმათთან, რომელთაც დასში განცალკევება გამოიწვიეს და სამარე გაუთხარეს ირლანდიელთა შორის პირველს კაცსაო.

„რეიტერის“ სააგენტოს აუწყებენ ალლაჰაბადიდგან, რომ როგორც იქაური გაზ. „Pioner“-ი იუწყება, რუსეთის თურქესტანს გამწესებული გენერალ-გუბერნატორი იმ მთებში გაემგზავრა, რომელიც თურქესტანს პამირიდგანა ჰყოფს, და თან ახლავს პეტერბურგის ინგლისის საელჩოში მყოფი ელიოტიო. თავად გალიცინს მომავალს თთვეში ლეხეს მიელიან, ქიშმირ ში.

2 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** მემკვიდრე ცესარევიჩმა შესწირა 3000 მან. გადასახლებულთა დამხმარებელ საზოგადოებას.

„Бирж. Вѣд.“-ს გაუგონია, რომ სახელმწიფო საბჭოს პირველსავე სხდომაზე განიხილავენ, დაარსდეს თუ არა ხვნა-თესვის სამინისტრო.

**ლონდონი.** პასუხად იმ ნოტისა, რომლითაც პორტამ აუწყა სხვა-და-სხვა სახელმწიფოებს, რა მიზეზით დართო ნება „Добровольный флотъ“-ის გემებს დარდანელში დაუბრკოლებლივ გასვლისა, მარკიზს სალიუსბერს უთქვამს, რომ ინგლისსაც ისეთივე უპირატესობა უნდა მიეცეს, როგორიც სხვა სახელმწიფოს ეძლევა.

**ვენა.** მომეტებული ნაწილი გაზეთებისა აცხადებენ, რომ ერთად-ერთი შედეგი მარკიზ დერუდინის და გირსის ნახვისა ის იქნება, რომ ერთმანეთს დაარწმუნებენ, მშვიდობიანობა გვსურს დავიცვათო.

**მონცა.** რამ წამს მოვიდა რუსეთის მინისტრი გარეშე საქმეთა სასახლეში, მეფემ მაშინათვე მიიღო მინისტრი და დიდხანს ესაუბრა. მინისტრს თან ახლდა მარკიზი დერუდინი და ბ. ვლანგალი. შემდეგ გამართეს საუზმე, რომელსაც დაესწრნენ მეფე-დედოფალს გარდა გერცოგები: აოსტისა და აბრუცისა, გერცოგინია გენარბისა, ბ. გირსი, მარკიზი დერუდინი, ბ. ვლანგალი და მეფისა და პრინცების ამალა.

პეტერბურგის ბირჟა, 27 სექტემბერი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 58 | 7, 60 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $151^1/_4$ | 152 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 237 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | $220^1/_2$ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, , , , | 209 | — „ | $211^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმად მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

## განცხადებანი


„ქართველთა ამხანაგობის“
წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:
თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . . . . 1 მ. 20 კ.
იგივე მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერის ყდით თითო ტომი ცალკე . . . . . 2 მ. 50 კ.
სამივე ტომი . . . . 7 მ.
სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა 1 მ. 20 კ.
იგივე ყდით . . . 1 მ. 40 კ.
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიითა და ფაქსიმილეთი . . . . . „ 80 კ.
იგივე მშვენიერის ყდით 1 მ. 25 კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდ. პოემა ბაჩანასი . . . . . . „ 15 კ.
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის-მიერ . . . „ 30 კ.
იგივე ყდით . . . . . „ 75 კ.
სურამის ციხე, მოთხრ. ჭონქაძისა . . . „ 25 კ.
„მარაბდა“ ან. ფურცელაძისა . . . . . „ 20 კ.
„წყალობა“—მისივე . „ 20 კ.
„თამარი“ სპარსული ლეგენდა . . . . . „ 10 კ.
„დემონი“ თარგ. ფაზელისა . . . . . . „ 15 კ.
„ცდა“ III წ. . . . . „ 50 კ.
საზოგადო მიწათ-მოქმედება თხუზ. მ. ზაალიშვილისა. „ 30 კ.
საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე. „ 80 კ.
ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთის გამოცემა . „ 30 კ.
იგივე მშვენიერის ყდით „ 80 კ.



Z—BOUQUET. ‖ Z—დუხი.

ახალი, მეტად ძვირფასი, მაგრამ მეტად მშვენიერი დუხია

**რ. კელერისა და ამხ. ქარხანსა მოსკოვში**

უნდა გამოიწეროთ როგორც რუსეთის პარფიმერიის საუკეთესო ნიმუში.

ყველა საუკეთესო მაღაზიაში ისყიდება ყველგან.

(5—0—1)



### საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს ნსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1891—92 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება საწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ათთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—94—24)



პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

### სამღებრო და ლაქის ამოსაყვანი ქარხანა

და ვიღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშას, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვიღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—22) ქარხნის პატრონი არტემ ანჯაფარიძე



თამბაქოს ფაბრიკა

### ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

ვთხოვ ყურადღება მიაქციოს პატივცემულმა საზოგადოებამ ეს არის ეხლა მიღებულ ახალის სისტემის ამერიკულ მაშინებზედ საუკეთესო ფრანგულს ქაღალდზედ გაკეთებულს

გილზებს უწებოდ.

პაპიროსის მხმარებელთ შეუძლიანთ ყოველთვის იქონიონ ასეთის გილზით გაკეთებული პაპიროსი სხვა-და-სხვა ფასისა, რომელიც უკვე დიდ-ძალია მომზადებული გასასყიდად-

ეს არის ეხლა მივიღეთ საუკეთესო ღირსების ახალი

ოსმალეთისა და ადგილობრივი თამბაქო

სხვა ქალაქებიდგან შემონაკვეთს საჩქაროდ ვასრულებთ.

(10—117—6)



ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

### დ ა ნ ი ა

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია.

(36—86—28)


Дозв. ценз. Тифлисъ, 2-го Октября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.